საფინანსო საბიუჯეტო კომისიის დასკვნა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო კომისიამ განიხილა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი და შემდეგი შენიშვნების სახით დაუბრუნდა მუნიციპალიტეტის მერიას:

- 2017 წლის გეგმიურ ბიუჯეტთან შედარებით, გათანაბრებითი ტრანსფერი შემცირებულია 390,0 ათასი ლარით. გასაანალიზებელია, რამდენად გაზრდის მუნიციპალიტეტის შიდა გზების ინვენტარიზაცია და რამდენად იმოქმედებს იგი გათანაბრებითი ტრანსფერის მოცულობის გაზრდაზე.
- შემოსავლები მიწის იჯარიდან და მართვაში გაცემიდან (უზურფრუქტი, გირავნობა და სხვა) არ არის დაგეგმილი 2018 წლის ბიუჯეტში, რაც გაზრდის ბიუჯეტის შემოსავლებს.
- ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული თანადაფინანსებისთვის საჭირო ფინანსური რესურსები. კერძოდ, რეგიონალური განვითარების პროექტებისათვის და სხვა დონორი ორგანიზაციებისათვის.
- ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას ,,ცერებრალური დამბლით“ დაავადებულთათვის და მეტყველების ნაკლოვანების მქონე ბავშვთა დახმარება.
- ბიუჯეტში არ არის ასახული 5%-იანი თანადაფინანსება რეგიონალური განვითარებისთვის.

მერიის მიერ შემოტანილი ბიუჯეტის ახალ პროექტში გათვალისწინებული იქნა შენიშვნები, კერძოდ:

1. მუნიციპალიტეტის შიდა გზების ინვენტარიზაცია გათანაბრებითი ტრანსფერის

მოცულობაზე გავლენას აღარ ახდენს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

04/10/2017 წლის N04-03/149412 წერილის თანახმად მუნიციპალიტეტს გამოეყო

2077,4 ათასი ლარი.

2. მიზნობრივი ტრანსფერი განისაზღვრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

04/10/2017 წლის N04-03/149412 წერილის თანახმად.

3. მიწის იჯარა არის რენტის ქვემუხლი და ბიუჯეტში გათვალისწინებულია.

4. 2018 წლის ბიუჯეტში თანადაფინანსებისათვის თანხის გათვალისწინების საფუძველი ამ ეტაპზე არ არის , გათვალისწინებული იქნება საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულების საფუძველზე.

5. 2018 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნება ,,ცერემბრალური დამბლით“ დაავადებულთათვის და მეტყველების ნაკლოვანების მქონე ბავშვთა დახმარება. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით შემოსულობები გაიზარდა 534, 8 ათასი ლარით და გახდა 6 328, 9 ათასი ლარი. წინა შემოტანილ ბიუჯეტის პროექტთან შედარებით კიდევ გაიზარდა.

სოციალური მუხლი გაიზარდა წინა წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 50,0 ათასი ლარით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საფინანსო- საბიუჯეტო კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მხარი დაუჭიროს ,, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტს”.